სს „საქართველოს ბანკის“ ფილიალების ქსელში არასაკრედიტო პროდუქტების გაყიდვების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიას თელავში მოლარე-ოპერატორის თანამდებობაზე

პოზიციის მიზანია სერვისცენტრის გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა, მომხმარებლებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა.

ძირითადი მოვალეობები

- თანხის შემოტანა/განაღდება/გადარიცხვა (მათ შორის, ერთჯერადი გადარიცხვები);
- ფულადი გზავნილების სისტემით ოპერაციების განხორციელება;
- ვალუტის გაცვლითი ოპერაციების განხორციელება;
- მომხმარებლების ანგარიშების ამონაწერების დადგენილი პროცედურის შესაბამისად მომზადება;
- მომხმარებლებისთვის ბანკის პროდუქტების შეთავაზება და კონსულტირება;
- სწორი გადამისამართება მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების და/ან გაყიდვების სფეროში მუშაობის მინ. 6-თვიანი გამოცდილება.

აუცილებელი ცოდნა და უნარები

- კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ქართული სრულყოფილად, სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- მომსახურებისა და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
- კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები – აზრის ნათლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი წერით და ზეპირად;
- გამოხატული ყურადღება დეტალების მიმართ, შესრულების სისწრაფე, მათემატიკური უნარები, კარგი მეხსიერება, ორგანიზებულობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: regionjob@bog.ge **2014 წლის 30 მარტის ჩათვლით.**

რეზიუმეს (CV) დატოვება ასევე შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: **თელავი, ჭავჭავაძის ქ. №6.**

გისურვებთ წარმატებას!

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
სს „საქართველოს ბანკი“
პერსონალის მართვის დეპარტამენტი
პერსონალის დაგეგმვისა და შერჩევის სამსახური
ტელ.: +995 32 2444 422
ელფოსტა: inforecruit@bog.ge
ვებგვერდი: jobs.bog.ge